ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი № 11

ქ. ახმეტა

25 ნოემბერი, 2020 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: რ.ბაღაკაშვილი, ზ.ჭიჭიკლიშვილი, ა.ბუღრიძე ა.შათირიშვილი, ნ.ალავიძე, ლ. ითიურიძე, შ. ტერტერაშვილი.

სხდომა გაიხსნა 11[00] საათზე.

სხდომის თავმჯდომარე თ.ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ ახმეტაში მდებარე უსახელო ქუჩისათვის მამა გაბრიელის სახელის მინიჭების შესახებ“.

/მომხსენებელი- დავით იმერლიშვილი/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანში მდებარე სპორტული სტადიონისათვის ვაჟა შაბალაიძის სახელის მინიჭების შესახებ“.

/მომხსენებელი- დავით იმერლიშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების, ქალაქ ახმეტაში სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 541 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებისა და პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ზ. ალვანში მდებარე, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის II-სართულზე არსებული 61.93კვ.მ საიჯარო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ზემო ალვანში მდებარე 5716 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე მდებარე შენობის (კულტურის სახლი) ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ დუისში მდებარე მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 36.8.0კვ.მ. ფართისა და მისი მიმდებარე შენობის ა(ა)იპ „მედინა 2015"-თისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის შვებულებაში გასვლის ცნობად მიღების შესახებ.

/მომხსენებელი- ლალი ებელაშვილი /

კომისიის თავმჯდომარე, დავით იმერლიშვილი რომელსაც 2 საკითხი უნდა წარმოედგინა:

1. ,,ქალაქ ახმეტაში მდებარე უსახელო ქუჩისათვის მამა გაბრიელის სახელის მინიჭების შესახებ".
2. ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანში მდებარე სპორტული სტადიონისათვის ვაჟა შაბალაიძის სახელის მინიჭების შესახებ".

არ გამოცხადდა ბიუროს სხდომაზე, რის გამოც საკითხები ამოღებულ იქნა დღის წესრიგიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს ამოღებულ საკითხებთან ერთად

8 - მომხრე;

<u>მოისმინეს:</u> **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების, ქალაქ ახმეტაში სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 541 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებისა და პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ.**

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი დამსწრე წევრებს: დამტკიცდეს საპრივატიზებო ნუსხაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული **ქალაქ ახმეტაში სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 541 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი.** (ს/კ 50.04.41.209) დამტკიცდეს- **ქალაქ ახმეტაში სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 541კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის** საწყისი საპრივატიზებო საფასური-**8115.0** (რვაათას ასხუთმეტი) ლარის ოდენობით. „ბე"-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30% ით-**2435.0**(ორიათას ოთხას ოცდახუთმეტი) ლარის ოდენობით. აუქციონის ბიჯის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10% ით -**812.0** (რვაას თორმეტი) ლარის ოდენობით. საპრივატიზებო პირობა: პრივატიზებიდან ორი წლის განმავლობაში განხორციელდეს არანაკლებ **20000** (ოცი ათასი) ლარის ინვესტიცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;

**<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ზ. ალვანში მდებარე, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის II-სართულზე არსებული 61.93კვ.მ საიჯარო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ.**

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფ. ზ. ალვანში მდებარე, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის II-სართულზე არსებული 61.93კვ.მ საიჯარო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, (საკადასტრო კოდი 50.01.35.078) სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით-**715.0** (შვიდას ხუთმეტი) ლარის ოდენობით:

სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 3(სამი) წელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

8 - მომხრე;

**<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ზემო ალვანში მდებარე 5716 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე მდებარე შენობის (კულტურის სახლი) ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, **სოფ. ზემო ალვანში მდებარე 5716 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე მდებარე შენობის (კულტურის სახლი) ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-სათვის ხუთი წლის** ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა - მოიჯარისათვის იჯარის უფლების არსებული ვადით შენარჩუნების პირობით (საკადასტრო კოდი 50.01.35.421).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს</u>: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ დუისში მდებარე მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 36.8.0კვ.მ. ფართისა და მისი მიმდებარე შენობის ა(ა)იპ „მედინა 2015“-თისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო პროექტი ბიუროს დამსწრე წევრებს: მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს -პირდაპირი განკარგვის წესით, სოფ დუისში მდებარე მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 36.8.0კვ.მ. ფართისა (ს/კ 50.05.34.260) და მისი მიმდებარე შენობის (ს/კ50.05.34.261) ა(ა)იპ „მედინა 2015“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა ორი წლის ვადით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის შვებულებაში გასვლის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 56- ე მუხლის, მე-4 პუნქტის მიხედვით გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 13 ნოემბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით ახმეტის მუნიციპალიტეტის მერმა ისარგებლა მიმდინარე წლის კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით, მისი არყოფნის პერიოდში მერის ფუნქციები დროებით დაეკისრა მერის მოადგილეს ვანო ნასყიდაშვილს შესაბამისი ანაზღაურებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გთხოვთ, აღნიშნული მიიღოთ ცნობად და გაატაროთ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12[15] საათზე.

**საკრებულოს თავმჯდომარე:** **თამარ ყეინიშვილი**